საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

KA012086987771921

საქართველო, თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–10 კმ. ტელ.: +(032) 2 749 649, ელ.ფოსტა: info@nbe.gov.ge, ვებ–გვერდი:www.nbe.gov.ge

D. Agmashenebeli Alley, 10th km, 0131, Tbilisi, Georgia, Tel.: +(032) 2 749 649, E-MAIL: info@nbe.gov.ge,www.nbe.gov.ge

 # 23021

15 / აპრილი / 2021 წ.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას
ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #36

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 6 აპრილის №3/1888-21 ბრძანება, იხილეთ თანდართულ დოკუმენტში.

გთხოვთ, ბრძანება შესასრულებლად გადაუგზავნოთ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ზედამხედველობის ქვეშ არსებულ პირებს - **ადვოკატებს და საადვოკატო ბიუროებს.**

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა“.

გაცნობებთ, რომ № 3/1888-21 ბრძანების მიხედვით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ივლისის ბრძანება (საქმე №3/4405-18). გაცნობებთ, რომ 2018 წლის 16 ივლისის ბრძანების (საქმე № 3/4405-18) აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით თბილისის სააღსრულებო ბიუროდან 2018 წლის 3 აგვისტოს გამოგეგზავნათ #A18101820-004/001 წერილი.

დანართი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 6 აპრილის №3/1888-21 ბრძანების ასლი (5 ფურცლად).

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თბილისის სააღსრულებო ბიუროს
აღმასრულებელი

დავით ტატიშვილი

6659634698422
www.ecd.court.ge

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

6 აპრილი, 2021 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ქეთევან მინაშვილი

შუამდგომლობის ავტორი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოთხოვნა - ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ იურიდიულ პირთა სიიდან ამოღებული იურიდიული პირის ქონების ყადაღისგან გათავისუფლება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ იურიდიულ პირთა სიიდან ამოღებული იურიდიული პირის ქონების ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2021 წლის 6 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{34} მუხლის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის №487 დადგენილებით განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულების მე-4 მუხლის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადმოგზავნილ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2127 (2013) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ იურიდიულ პირთა სიაში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

მითითებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სანქციათა კომიტეტის მიერ განსაზღვრულ იურიდიულ პირთა სიიდან ამოღებული იქნა 1 (ერთი) იურიდიული პირი, რომლის ქონებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გრძანებით (საქმე №3/4405-18), დაედო ყადაღა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნილ იქნა აღნიშნული შუამდგომლობის განხილვა და იურიდიულ პირთა სიიდან ამოღებული იურიდიული პირის ქონების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ყადაღისგან გათავისუფლება.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად სასამართლოს მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სანქციათა კომიტეტის მიერ განსაზღვრულ იურიდიულ პირთა სიიდან ამოღებული იურიდიული პირის ქონების ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ, საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[5] თავით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად სანქციადაკისრებული პირის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[30] მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომელთა მიზანია ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გრძანებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას. კომისიის თავმჯდომარე არის საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო კომისიის თანათავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე.

ამავე დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულია კომისიის უფლებამოსილება, მის მიერ შემუშავებული ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიიდან პირის ამოღების შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ამ პირის ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[34] მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობას განიხილავს თავდაპირველი ბრძანების გამომცემი სასამართლო „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, მოსამართლე ბრძანებით აუქმებს პირის ქონებაზე ან ქონების ნაწილზე დადებულ ყადაღას „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამთავრობო კომისია ვალდებულია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი პირის ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე შუამდგომლობით გაეროს სანქციების კომიტეტის გადაწყვეტილებით მისი სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან ამოღების შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ამ კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეჭვისთვის საკმარისი საფუძველი აღარ არსებობს.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული ბაზიდან მოძიებული დოკუმენტებით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ივლისის №3/4405-18 ბრძანებით, დაკმაყოფილდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობა და ყადაღა დაედო შუამდგომლობით განსაზღვრული იურიდიული პირის ქონებას.

წარმოდგენილი მასალების და აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და გაეროს უშიშროების საბჭოს 2127 (2013) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ იურიდიულ პირთა სიიდან ამოღებულ უნდა იქნეს 1 (ერთი) იურიდიული პირი.

სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{30}, 21^{34} მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე

მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ივლისის ბრძანება (საქმე №3/4405-18) იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაუდო შემდეგი იურიდიული პირის ქონებას:

N	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართ(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1.	*საბელი:* BUREAU D'ACHAT DE DIAMANT EN CENTRAFRIQUE/KARDIAM	ა) BADICA/ KARDIAM ბ) KARDIAM	ა) BP 333, ბანგუი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ტელ: +32 3 2310521, ფაქსი: +32 3 2331839; ელექტრონული ფოსტა: kardiam.bvba@skynet.be; ვებ-გვერდი: www.groupeabdoulkarim.com (BP 333, Bangui, Central African Republic (Tel. +32 3 2310521, Fax. +32 3 2331839, email: kardiam.bvba@skynet.be; website: www.groupeabdoulkarim.com) ბ) ანტვერპენი, ბელგია (Antwerp, Belgium)	2015 წლის 20 აგვისტო (20 Aug. 2015)	BUREAU D'ACHAT DE DIAMANT EN CENTRAFRIQUE/KARDIAM-ს აბდულ-კარიმ დან-აზოლუმი ხელმძღვანელობს 1986 წლის 12 დეკემბრიდან, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან - აზოლუბაკარ მაჰამატ. მისი ფილიალები მოიცავს MINAIR და SOFIA TP (დოუალა, კამერუნი) (BUREAU D'ACHAT DE DIAMANT EN CENTRAFRIQUE/KARDIAM is headed by Abdoul-Karim Dan-

					Azoumi, since 12 December 1986 and by Aboubakar Mahamat, since 1 January 2005. Branches include MINAJR, and SOFIA TP (Douala, Cameroon).

3. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას;

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის.: ქალაქ თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №7ა), მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ გადაცემა ვერ ხერხდება, მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მოსამართლე ქეთევან მინაშვილი